საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04

ქ. ბათუმი 07 ნოემბერი, 2018წ.

,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №04 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №04 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატებები, კერძოდ:

ა) წესის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:
,,8. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში განმეორებითი და ყოველი მომდევნო მონაწილეობა დაფინანსდეს ამ მუხლით განსაზღვრული თანხის არაუმეტეს 50%-ის ფარგლებში“.;
ბ) წესის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:
,,8. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში განმეორებითი და ყოველი მომდევნო მონაწილეობა დაფინანსდეს ამ მუხლით განსაზღვრული თანხის არაუმეტეს 50%-ის ფარგლებში“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევით ერთეულებს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**